# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა #4

ქ. თბილისი 20 იანვარი 2018 წ.

შ.პ.ს. „მაგთიკომი" №30 ოფისი წარმოდგენილი მისი ოფისის ზედამხედველის თამარ გრატიაშვილის სახით, რომელიც მოქმედებს 2018 წლის 03 იანვარს შპს "მაგთიკომის" გენერალური დირექტორის მოადგილე ანდრია ზოდელავას მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე, შემდგომში *გამყიდველი*, ერთის მხრივ და ა.ი.პ „საგარეჯოს #105 კომპლექსური სასპორტო სკოლა", წარმოდგენილი მისი დირექტორის იოსებ კვეზერელის სახით, შემდგომში – *მყიდველი*, მეორეს მხრივ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის სახსრებით 165 (ასსამოცდახუთი) ლარის მობილური სატელეფონო მომსახურების შესყიდვა (მონო ბარათების საშუალებით) (CPV 64212000 გამარტივებული შესყიდვების საშუალებით, თანახმად საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", მე-10 მუხლის მე-3 ქვეპუნქტის შესაბამისად.)

1.2 მომსახურების შესყიდვა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, *გამყიდველის* ანგარიშზე ჩარიცხული თანხების პროპორციულად.

2. მხარეთა ვალდებულებანი

2.1 *მყიდველი* ვალდებულია:

2.1.1 გადაუხადოს *გამყიდველს* მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად;

2.1.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

2.2 *გამყიდველი* ვალდებულია:

2.2.1 ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დადასტურების შემდეგ, გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება

2.2.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

3. ფასი და ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორების ფორმით;

3.2 *მყიდველს* უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში 1.1. პუნქტში აღნიშნული თანხის ანგარიშსწორება *გამყიდველთან* მოახდინოს ნაწილობრივ.

3.3 გამყიდველი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მყიდველს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

– მომსახურების მიწოდების ვადა 20.01.2018 დან – 30.03.2018-ის ჩათვლით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში (როგორიცაა სტიქიური უბედურება, მიწისძვრა, სამხედრო მოქმედებები და დაუძლეველი ძალის მქონე მხარეთაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები), რომლებიც მთლიანად შეუძლებელს ხდიან ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

6.2 მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს ასეთი გარემოებების არსებობის შესახებ.

## 7. სადავო საკითხების გადაწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება სრულიად ადასტურებს მხარეთა კონსენსუსს და არანაირი ზეპირი ცვლილება ან დამატება არ განიხილება, როგორც ამ ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი;

8.2 ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილი იქნას ცვლილებები, რომელიც გაფორმებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით და დამოწმებული ორივე მხარის მიერ.

8.3 ხელშეკრულება შედგენილია ორ პირად, ერთი პირი გადაეცემა გამყიდველს და ერთი პირი მყიდველს. ორივე პირს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

| გამყიდველი: | მყიდველი: |
|---|---|
| **იურიდიული მისამართი** | **იურიდიული მისამართი** |
| ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №7 | ქ. საგარეჯო. მ. კოსტავას ქ #14 |
| **საბანკო რეკვიზიტები:** | **საბანკო რეკვიზიტები:** |
| ს.ს. „ლიბერთი ბანკის" | |
| ცენტრალური ფილიალი | |
| ა/ა GE81LB0113116112371050; | |
| კოდიLBRTGE22 | სახაზინო კოდი TRESGE 22 |
| საიდენტ. კოდი: 204876606 | საიდენტ. კოდი 238156785 |
| | საკონტაქტო ტელ : 599851166 |
| ოფისის ზედამხედველი | დირექტორი |
| (თ. გრატიაშვილი) | (ი. კვეზერელი) |